

გაზეთის ფასი

გაზეთის ფასი: ერთი წელი — ექვსი მან., ნახევარი წელი — სამი მან., სამი თვე — ერთი მან. და ხუთმეტე მათრი, ერთი თვე — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: В. Ткачевъ, въ редакцію газеты „ДРОБЪ“



ხელის-მოწერა: მთელისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში; ქუთაისში: ანტ. ლაშქრის ბინაში; გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ: В. Ткачевъ, въ контору газеты „ДРОБЪ“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ. სოლომონ მირიანაშვილის სახლებში. ქანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

ზ ი ნ ა რ ს ი:

საქართველო: რათ იქნება ჩვენთვის ქართული თეატრი? — წერილი ამბობს — წიგნი რედაქტორთან — „დროების“ კორრესპონდენტს: სანთილგან — ბილიდგან — შეილიდგან — „დროების“ 409 ნომრის ფელტონზე — რუსეთი: საყოველთაო სახმადრთვინებელი წესდება — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი — ამბობენ განცხადება.

საქართველო

რათ იქნება ჩვენთვის ქართული თეატრი?

ღვინის სმა, ქალაღდის თამაში, საციცხაფი დროს გატარება! აი, ჩვენი ქალაქის თავის შესაქცივი საგნები. ამ საზარელ მოვლენაზედ დაფიქრება და რაიმე სასუფეშო საშუალების გამოძებნა, ეგონებ, არ გვაწყენდა, და ჩვენ სწორეთ ამ აზრით ვკიდებთ ხელს კალამსა. არც ერთი ხეირიანად ვაწყობილი ხალხი არ ხმარობს ისე უმზავსოთ თავის დროს, როგორც ჩვენ; არც ერთი საზოგადოება

ქულ მიზლი

ს. ფრანგეთმა დაპყროვა ერთი უწარჩინებულესი თავისი შვილი. მს სიკვდილი და ნარჩენი ქვეყნიერობისათვისაც ისე საკრძნობელი და დასაკლისია, როგორც განსვენებულის სამშობლოსათვის.

ჩვენ ვამბობთ დიდს ისტორიკოსზედ, მხურვალე პატრიოტზე, ჩინებულს კაცზედ. მს გარდაცვალებული არის კაცობრიობის მეცნიერებაში დაუფიქარი სწავლული ქულ მიზლი.

მანსვენებული გადაიცვალა ღრმა მოხუცებული, მაგრამ მის გულში კიდევ გასაოცარი სიხივოლე, სიყვარული და თავგანწირულობა ღვივდა თავის სამშობლოსთვის, თითქოს ოც და ხუთი წლის ჭაბუკი ჰყოფილიყო. სამოცდა ჩვიდმეტს წელიწადს უსამართლობასთან ბრძოლას ვერ მოეტეხა მისი მძლავრი ბუნება. ის დღესაც ისეთი აღმტაცო დამცველი იყო ადამიანის უფლების აღმადგენისა, ნამდვილის თავისუფლებისა და ჭეშმარიტებისა, როგორც ორმოცი, ორმოცდა ათი წლის წინც.

ქულ მიზლი მოკვდა გულის ავადმყოფობით. იმას აუფარდა გულისტკივილი, წარსული ომის დროს, როდესაც საფრანგეთი სასტიკად დაცემული ნახა პრუსიისგან. მაგრამ გათავდა თუ არა ომი, მიზლიმ შეატყო, რომ საფრანგეთში რესპუბლიკა წესდებოდა და ხალხი თავისუფლებას ჰპოულობდა, მაშინ ის ისევე უკეთ შეიქნა. დაიმდებულო იმან მოჰყო ხელი მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის წერას. ამ დროს წამოატყდა 24 მაისი. ე. ი. ტიერის მართებლობის ჩამოგდება და მონარხიული შემთქმელების გამარჯვება. საშინელი გავლენა იქონია ამ შემთხვევამ საზოგადოებრივ მოხუცზე, რომელსაც თავისი საფრანგეთი გულ-მხურვალედ უყვარდა. მიზლი ერთბაშად დაეცა და მერმე აღარც მობრუნებულა.

არ არის მოკლებული სასარგებლო სიამოვნებას ჩვენსათვის. მთელი დღის შრომის შემდეგ საღამოზედ კაცს ქვიფისა და მხიარულების სურვილი მოსდის — ეს მისი უფლებაა. ტყუილად ეძებს ბედშავი რომელიმე სასიამოვნო და თან ზნეობისა და გონების ამამაღლებელს დროს გასატარებელს ადგილს! ის ვერ პოულობს ვერაფერს ამისთანას, და რჩება ხელახლად მამა-პაპურია: „ისევე და ისევე ღვინითა“, საზრახი სათამაშოები და საციცხაფი თავის შექცევა. მსენი ჩვენი ხალხისთვის აუცილებელ სტიქიონათ გადაქცეულან და იმის გამოყენანაც აქედამ არაინა ფიქრობს. რა გავწყობა ამ ნაირ შემთხვევაში?

შველგან, სადაც კი ცოტათი უფიქრნით საზოგადო ცხოვრებაზედ, ისეთი ადგილებიც არის გამართული, რომელშიც ხალხი მხიარულათ და თან სასარგებლოთაც გაატარებს დროს. მაგალითებ: განათლებულ ქვეყნებში აუარებელი თეატრები, კლუბები, საზოგადო კრებები, უფასური ლექციები, ათას ნაირი ამხანაგობანი და საზოგადოებანი. შველგან, სადაც კი საჭიროა, საზოგადოება დიდ ნივთიერ შეწევნას და დახმარებას აღმოუჩენს ხოლმე ამ გვარ დაწვებულებათა. — და იმისთვის სწევს ხარჯს საზოგადოება, რომ გამოცდილებით იცის, ამისთანა დროს გატარება ხალხის ზნეობას და განათლებას ამადლებს, სპობს საზოგადოებაში ბინძორ და მავნებელ თვისებებს და ჩვეულებებს. ხალხის ლტოლვილებას, მოძრაობას უძღვევა წესიერი დასაკმაყოფილებელი საშუალება, სრული კალაპოტი, და ის აღარ დგება მშვენიერ ნაყოფიერ მინდვრებზედ დამალ ტბათ და არ რყენის ჰაერს. აი, ამასა ჰქვიან ნამდვილი მზრუნველობა ხალხის სარგებლობისათვის!

მიზლი ღარიბი ოჯახიდან იყო და ამიტომ ის ყმაწვილობიდანვე ეწეოდა შრომას თავის მამას. მონიერმა მშობელმა შეატყუა, რომ ყმაწვილი ნიჭიერი და აღარ დაიშურა არავითარი მსხვერპლი, ოღონდ კი მის საიმედო შვილს განათლება მიეღო და მართლაც პატარა მიზლიმ სრულიად განამართლა თავის მშობლის სასოება მასზედ. იმან მშვენიერად დაასრულა ლიცეი და 1830-ში მიზლიმ პროფესორად იყო სხვა და სხვა პარიჟის უმაღლეს სასწავლებლებში.

ამ დროს იგლისის რევოლუციამ იგრილა ზაფხულის ქუხილსავეთ და შაროვ მკეთეს მონარხია შეეგსავეთ ჩაიტანა ვაბრუნებულმა პარიჟის ხალხმა.

ხელმწიფეს, მართალია, გადაუმხეს საფრანგეთის სახლგრიდამ, მაგრამ იმის მაგივრად ეხლანდელი მარცხენა ცენტრის რესპუბლიკელებმა მოიხმეს საფრანგეთის ხალხის მინდობილობით — და ეინ მიანიჭა ტიერს, ბიზოს, მდილონ-ბაროს, დიუჟორს და სხვას ეს უფლება, დღესაც არაინ იცის — ლუი შილიბე. აქ ბიზო, სორდონის პროფესორი, მინისტრად შეიქნა და თავისი ადგილი ვარდასცა მაშინაც საკმაოდ სახელოვანს მიზლიმ.

რეა წლის შემდეგ ახალგაზდა ისტორიკოსს ჩააბარეს პოლლექ დე ჭრანის (College de France) კათედრა, საიდანაც ის ჰკითხულობდა ისტორიის და ზნეობით საგნებსა. ამ დროსვე ორი შესანიშნავი მიზლიმ მეგობრებიც მოიწოდეს პოლლექ დე ჭრანში. მსენი იყენენ: ადამ მიცკევიჩი, პოლშელი პოეტი, და მდგარ ტინე.

აქ ამ სამმა ჩინებულმა სწავლულმა თამაშად დაიწყეს ქადაგება კაცობრიობის განმახლებელი აზრებისა. ამ შკოლამ სამუდამოთ მოაპყვეთა ავტორიტეტი და ძალი ბევრს მძელს კანონებსა და წესებს. აქ მოდიოდა მთელი ევროპის ახალგაზდაობა, როგორც ერთ დროს ათინას, რომ გავგონა განმაცხოველებელი სიტყვა, ნათელი ჭეშმარიტება და შეუზოვარი პრინციპები.

ტინე, მიცკევიჩი, მიზლი... დღეს დაუვიწყარ სახელებად გადაქცეულან შთამამაელობისთვის და ისინი სრული ღირსნიც არიან ამ პატივისა.

ბით იცის, ამისთანა დროს გატარება ხალხის ზნეობას და განათლებას ამადლებს, სპობს საზოგადოებაში ბინძორ და მავნებელ თვისებებს და ჩვეულებებს. ხალხის ლტოლვილებას, მოძრაობას უძღვევა წესიერი დასაკმაყოფილებელი საშუალება, სრული კალაპოტი, და ის აღარ დგება მშვენიერ ნაყოფიერ მინდვრებზედ დამალ ტბათ და არ რყენის ჰაერს. აი, ამასა ჰქვიან ნამდვილი მზრუნველობა ხალხის სარგებლობისათვის!

მსლა ვაღმოდედთ პრაქტიკულ მსჯელობაზედ, სახელდობრ იმაზედ, თუ როგორ მოერთოთ ჩვენს მთელისში ისეთი თეატრი: რომელიც უმთავრესი მცხოვრებლების ზნეობით მოთხოვნილებას შეესაბამებოდეს? მალაქში ასიათასი მცხოვრები იქნება. ამათგანი ნახევარზედ მეტი ლაპარაკობენ ქართულად. ამათთვის იროა ერთი ხეირიანი დროს გასატარებელი ადგილი ე. ი. თეატრი. მართალია ერთი რუსული თეატრი ახლაცა ვაქს, მაგრამ ის ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებლებს. აი რისთვის: ერთი რომ ამ ხალხის ცხოვრებაში იქ არაფერი წარმოსდგება ხოლმე, რომ გამოსადევი, ჰკუის მასწავლებელი იყოს, და მეორედ ენაც არ ესმისთ, „მაია, თეიას“ ცოდნა ხომ არაა საკმაო, რომ პიესას თელო-

ყარი ადევნო! და მესამე, მომეტებულ რიცხვს არც ეს „მაია, თეიას“ ესმის და რჩება ერთი უგონიერესი და უფრო გამო! სადექი საშუალება ამდენი ხალხის გასართობლათ: დაარსდეს ქართული თეატრი, თანასწორად გასაგები როგორც ქართველისთვის ისე სომხისთვისაც. რუსული სპექტაკლებიც რომ თავის პუბლიკას იზოვნის ამას რა თქმა უნდა. შველა დაკმაყოფილებული იქნება, და მაშინ სურვილიც კი აღარ ექნებათ, რომ ბოროტად მოიხმარონ თავის თავისუფალი დროება.

მსლა ჩვენ იმის ცოცხალ მაგალითს მოვიყვანთ, თუ როგორ იქნეს გასაგები თეატრი საზოგადოების ზნეობას. მაგალითებ, 1852 წ. მარანცივის დროს, ხუთასი თუმანი ნაკლები გაიყიდა პრიკაზში სათამაშო ქალაღი, ვიდრე წინა 1851 წ. ამ წელიწადსე შემჩნეული იყო, რომ ლოთობამ, სისხლის სამართლის დანაშაულობამ შესამჩნევად იკლო წინა წლებზედა. რისი ბრალი იყო ამისთანა ცვლილება? მოხდა რაიმე განსხვავებული ამ წელიწადში?

მამოგდებული თავის საყვარელი სასწავლებელიდან, მიზლიმ ხელახლად მიეცა ისტორიუს შრომას. იმან დაიწყო საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის წერა. მს თხზულება ფრიად შესანიშნავი და ჩინებული იქნება ყოველ საუკუნოებში, და შთამავლობა კიდევ მომეტებულად დაფასებს მიზლის გამჭრიახ გონებას, საგნის პოეტურ გამაზნებულებას და უსაზღვრო სიყვარულს სამართლიანობისადმი.

მიზლიმ დარწმუნებული იყო, რომ ოდესმე იდეალური საზოგადოება იქნება, რომ პროგრესის მიმდევარი უმადლესს ხარისხამდე. მაგრამ იმას არ სჯეროდა, რომ განათლება წინ მსვლელია ხალხისა თითონ თავისთავად მოხდეს. ის ყოველთვის ნათლად აჩვენებს მკითხველს, თუ როგორი განუზომელი მონაწილეობა აქვს კაცის შეცადინებას თითოეული პროგრესის ნაბიჯში.

მიზლიმ გასაოცარად იშრომა, მოუტანა დიდი სარგებლობა თავის ქვეყანას და აგრეთვე სწავლასაც. მთუ კი ვისმეს აქვს ნება გულ-დამშვიდებული სიკვდილისა; თუ კი ვინმე იტყვის: უნაყოფოთ არ განვილო ჩემმა სიცოცხლემ, მაშინ, რასაკვირველია, მიზლისაც შეეძლება ამ ნაირი იმედის ჰქვიანა. მაგრამ ის სასტიკად იტანჯოდა; მისი სამშობლოსათვის ნიაღვრ მიღივარი გული ათადა როდესაც უმზერდა რომ საფრანგეთის მართვა მონარხიელების ხელშია.

მიზლიმ ბევრი ისრები დაამტერია, რომ თავის ქვეყნისათვის მოეპოვა სრული მოვისუფლება და თანასწორობა. ის ელოდა რესპუბლიკობის მტკიცედ დამყარებას, ხალხის ბედნიერებას და ალყა ეგებას, როგორც მოსე წინასწარმეტყველი აღთქმითს ქვეყანას. მაგრამ გენიალური მოხუცი ვერ მოსწერია ამ სანატრელს დროს, და საესე მწუხარებია, საესე სამშობლოს მომავალზედ ათანაირ ეჭვითა, მიზლი თავ განწირულად ჩადის სამარეში.

აი ამ დროს მიზლიმ უთხრეს, რომ ნაპოლეონის საერთოულოთ უნდა დაიფიცო. მიზლიმ უარი სთქვა იმპერატორის საერთოულოთ შეფიცვაზედ. მიზლი ის იძულებული იყო დაეტოვებინა პროფესორობა პოლლექისა.

მეფლი.

დების ღირსია ჩვენის აზრით. მისაც ქალაქის ცხოვრების მართვა და მზრუნველობა აქვს მინდობილი, ამ საგანზე მოლაპარაკება და ერთი მტკიცე აზრზე დადგომა ერთად არ ჰფერობს? მაგრამ ეს მათი საქმეა. დავანებოთ თავი ამას.

ერთი საშუალებით იქნება თუ მეორეთი — თეატრი უნდა დაარსდეს მაინც და მაინც. მისი საქმიანობა უკანასკნელმა სამ წარმოდგინებამ გამოაჩინეს ნათლად. საქმე მხოლოდ პირველ ნაბიჯზეა დამოკიდებული, ე. ი. თეატრის დაარსებამდე, თორემ მერმე რომ იმას შეუწყვეტელად შეუძლია სიცოცხლე, ეს საეჭვო რადილია.

თუ კი პრისთვის დროს თითო აქტიორს ას-ასი და მეტი თუმანიც ერგებოდა, ეს რაღა ღმერთი გაწყურება, რომ იმოდენი ალარ შემოვიდეს?

ჩვენ ვიანგარიშით და ძალიან დამცირებული შემოსავალი, რომელიც შეუძლია ქართულმა თეატრმა შემოიტანოს, როდესაც თეატრის სახლი გვექნება, შესდგება ათას ოთხასი თუმანი (14000) და გასავალიც თითქმის ამ რიცხვამდის აღის.

თუ საქირო იქნება, ჩვენ დაწვლილებით ცნობები შეგვიძლია მივსცეთ იმ საგანზე იმათ, ვინც თეატრის შენობის აგებას იკისრებენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ყოველი მხარედა, სადაც კია ხალხის ზნეობის აღმაღლებამდე ფიქრი და ჰუმანიტა მზრუნველობა, ყურადღება იქნება მიქცეული ამ განცხადებაზე, ნამეტურ იმისთვის ვაძლევეთ ფასს დღევანდელ ლაპარაკს, რომ საზოგადოებაში ქართული თეატრის დაარსების მოთხოვნა იღლება ერთობ ძლიერია.

მეველი.

# „დროება“

1874-ში გამოცემა იმავე პროგრამით და იმავე პირობების თანამშრომლობით, როგორც წელს გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისს — „დროების“ კანტორაში, ივანოვის ბიბლიოტეკაში. ქუთაისს — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოტეკაში.

ზარეშე მცხოვრებთ შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნები:

Въ Тбилизѣ, въ конторѣ газеты „ДРОЕБА“.

„დროება“ ეღირება გაგზავნით: ერთი წლით — ექვს მანეთად, ნახევარი წლით — სამ მანეთად.

„პრებული“ და „დროება“ ერთად ეღირება გაგზავნით: ერთი წლით — ცხრა მანეთად და ნახევარი წლით — ხუთ მანეთად.

მისაც შარშანდელი „დროების“ ფასი არ შეშოუტანია, ვთხოვთ, მალე გამოგზავნონ რედაქციაში.

## წიგნი აგებში.

— „თფილისის მოამბეში (№ 17) დაბეჭდილი იყო უფ. ნ. ნიკოლაძის წიგნი ქვეკანის იურიდიკული საზოგადოების პრეზიდენტისადმი, რომლითაც სოსოელა, რომ იურიდიკული საზოგადოებისათვის წინადადება ტყბულის საქმეზედ მუთათის მხარის სამსაჯულოსაგან შედგენილი განჩინებების განხილვა და იმ კითხვის განჩინება, თუ ვინ უნდა უზღოს ნ. ნიკოლაძის, თუ ვინ იცნობა, ტყბულის საქმეზედ შეცთობით შედგენილი განჩინებებმა რაზე წააგებინა. იურიდიკულმა საზოგადოებამ ამ ორშაბათს ეს ნიკოლაძის თხოვნა კამიტეტს გადასცა, რომელმანაც უნდა გადაწყვიტოს, ექვემდებარება ეს თხოვნა იურიდიკული საზოგადოების განხილვას, თუ არა. თუ კამიტეტმა იურიდიკული საზოგადოების წესდების თანახმად იცნო ნ. ნიკოლაძის თხოვნა, საზოგადოება შეუდგება იმის განხილვას.

— ქართული სცენის მოყვარენი, რომელთაც წასართლს ხნილში და ყველიერში სამი

ქართული წარმოდგენა გაპარტეს, გეთხოვენ გამოცხადოთ საზოგადო სცენობად დაწერილებითი ანგარიში ამ სამი წარმოდგენის შემოსავალ-გასავლისა. მაგრამ რადგანაც გაზეთი მზათ არის, ჩვენ არ შეგვიძლიან შემდეგ ნომრამდის დაგვეცდოთ ეს ანგარიში. მიტყვიით მხოლოდ, რომ შემოსავალი ყოფილა 1500 მანეთზედ მეტი, გასავალი: თეატრის ქირა — 600 მანეთზედ მეტი, ტანისამოსისა და სხვა წერილობი ხარჯი — 300 მანეთამდის. ნ ღდი შემოსავალი დარჩენილა 600 მანეთზედ ცოტა მეტი.

— შუა ფებერვალი თფილისისათვის სწორედ ნამდვილ ზამთრათ გარდაქცა მთელი კვირა ითოვა, ესლა დიდი ყინვებია, 10% მეტი. ამბობენ, რომ ამისთანა ზამთარი ათი წლის განმავლობაში არ ყოფილა.

## წიგნი რედაქტორთან

ქნევა 25 იანვარს (6 თებერ.)

„შუალა რედაქტორო. „დროების“ № 405-ში ამ წლისა მე წავიკითხე შარაბიძის კორრესპონდენცია, სადაც ეს პატივემეული კორრესპონდენცია უჩივის საზოგადოთ რედაქციების უყურადღებობას მკითხველებზე და იმათ მოთხოვნაზე და მაგალითად მოჰყავს „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორი, რომელსაც იმან გაუგზავნა ოთხი მანეთი წიგნების საყიდლოთ და გასაგზავნათ, მაგრამ ეს შესაძენ წელიწადი გდის პასუხი არ მიუღია. შოველივე, რასაც პატივემეული შარაბიძე ამბობს თავის კორრესპონდენციაში, სრულებით მართალია; მაგრამ რომ იმისმა კორრესპონდენციამ საეჭვო და შეუფერებელი ფიქრები არ აღძრას მკითხველებში, მაგალითად ჩემზე, უნდა აეხსნა ამისთანა უთაგბოლოების მიზეზი. უნდა ესთქვეთ, რომ ჩვენს ქართული სამი გამოცემების საქმეები, განსაკუთრებით „პრებული“ და „სასოფლო გაზეთისა“ ძლიან დახლართული იყო. ამ ორი გამოცემის საქმეები, როგორც იმათი შედგენა, აგრეთვე იმათი გაგზავნა და დარიგება მკითხველებში; ყოველნაირი სარედაქციო საქმეები, ასე გაშინჯეთ კორრექტურაც; მართო ერთ პირზე იყო მიგდებული თითქმის მთელი ორი წელიწადი; ამას გარდა საშუალების სიმცირის გამო რედაქტორს კერძო საქმეებიც უნდა ეკისრნა, რომ თავისი თავი და ეს გამოცემები გაეტანა. ამას დავმატებოდა ყოველნაირი გარეშე მონდობილობები მკითხველებისაგან რედაქციაზე ამ გარემოებების ძალით რედაქტორს ძალიან გაჭირებული ჰქონდა საქმე და მართლაც ზოგაერთი გარეშე მონდობილობა, როგორც მაგალითად შარაბიძის მოთხოვნა, რჩებოდა აუსრულებელი და კიდევ მაიწყებოდა; რომ უფ. შარაბიძეს არა მე დარწმუნებული ვარ ეს საქმე სულ მიმავიწყებოდა და მე ჩირქით დამაწებოდა კისერზე. ასითვის დიდ გულითაღს მაღლობას ვუძღვნი უფ. შარაბიძეს ამ გახსენებისთვის და ესაზოვე სხვათაც, რომელნიც იქნება საქმის აუსრულებლობისთვის უკმაყოფილოთ იყვნენ, მოაგონონ რედაქციას და ასრულებინონ. რაიცა შეეება იმ ოთხს მანეთს, გადაეცემ დროების რედაქციაში, რომ იმითი ახალი დაბეჭდილი ქართული წიგნები გაუგზავნოს უფ. შარაბიძეს ან არა და ეს ოთხი მანეთი ისევე უკან დაუბრუნოს.

დარჩები და სხვ. „სასოფლო გაზეთის“ უწინდელი რედაქტორი გ. წყნოელი.

## „დროების“ კორრესპონდენცია

სვანეთი, 15 თებერ 1874 წ.

მისის ყოველად უსამღვდელოების იმერეთის ეპისკოპოსის შაბრიელის ამ წელს მოგზაურობამ ბევრი სასარგებლო ცვლილება მოახდინა სვანეთში. პარგი იქნებოდა, რომ ყოველად უსამღვდელოების ხშირათ ნახულობდეს სვანეთს; მაგრამ საუბედუროთ თვითონ ბუნება თითქო ეწინააღმდეგება ამ ჩვენს სურვილს. იმ დიდი მთების ცხენით გადავლა, რომლებიც ცნობის-მოყვარე მგზავრს შეხედება სვანეთში, შესაძლებელია მხოლოდ იენისიდგან სექტემბრის ნახევრამდე; სხვა დროს კი გადასვლა ძრიელ ძნელია და ამიტომაც მოკლებული ვართ ეპისკოპოსის ხშირათ ნახვას. ბოლოს რაკი ღირსი განდა სვანეთი მისი მობრძანებისა, დიდ სიხარულში იყო ხალხი და ეზადებოდა უარის უთქმელათ, მტკიცეთ აღსართლებია ყოველივე მისი ბრძანება. სვანები სჩქაროთ თავს იყრიდენ იმ აღ.გს, სადაც მათი უსამღვდელოება ისურებდა. შოველად უსამღვდელოების ყურადღება მიქცეული იყო იმ პირებზე, რომლებმაც თითოს ორ-ორი ცოლი ჰყვანდათ და ურჩევდა მათ, რომ ეს სახიზლო ჩვეულება მოეშალათ და დასჯერებოდნენ თითო თანამეცხედრეს, როგორც შეფერის ქრისტიანობრივს დებულზე. ბრძანება ყოველად უსამღვდელოების მის იქვე ყოფაში იყო ასრულებული პრისტავის საშუალობით, მაგრამ ამ ბრძანების ასრულებას მოჰყვა დიდი ვაი-უბედურობა და ტირილი: ქალი, შემკრთალი და გაკვირებული ამ ანბით, ამბობდა: სად უნდა წავიდე და ვის უნდა დაუტოვო ჩემი ოჯახი და შვილებიო. აგრეთვე კაცსაც ეძველებოდა, როგორ გაუშვა ამდენ ხანს ჩემთან მყოფი, ჩემი ავისადა კარგის მცოდნე და ხასიათით ჩემთან შეზდელი ქალიო. აი მაგალითებო როგორი ვულ შემარყვევლი სცენები ხდებოდენ ხოლმე: ერთმა სვანმა მისის უსამღვდელოების ბრძანებით მოიყვანა თავისი ორი ცოლი. ერთი მათგანი იყო ახალ-გაზდა და მკარე კი უფრო მოხუცი. პრისტავმა, მისის ყოველად უსამღვდელოების ბრძანების აღმასრულებელმა, ჰკითხა: რომელი უფრო გიყვარსო? სვანმა უთხრა, რომ ორივენი ძალიან მიყვარანო. მაინც რომელიო? მს უმცროსიო, მიუგო სვანმა, რადგანაც უფრო ახალგაზდა არისო. მაშ ეს უფროსი უნდა მოიშორავო. პრა ბატონო, სად უნდა გაუშვა ვგაო? თვის მშობლებთან მივიდესო, უბრძანა პრისტავმა. მაშ რადგან მე ეს უნდა მომამშოროთ, მე ცოცხალი აღარ უნდა დავრჩეო, დედამა მაგას სახლში არ შეუშვებენ და ამიტომ ისევე ვთხოვ, რომ მომცეთ ნება გარეშე ვარჩინავო. მსე იგი, როგორ გარეშე, ჰკითხა პრისტავმა? ჩემს ეზოში მაგისთვის ცალკე სახლს დავდგამ, უთხრა სვანმა, სასმელ-საჭმელს მივცემ და იყოსო. მს იმასა ჰგავს, რომ ორი პური სუფრასზე წინ გედვას და რომელიც-გსურდეს მოსტეხოს დასჭამოს და ამიტომ არ მისცეს ნება. მართს მოახლეს ჰყვანდა სამი უკანონოთ მოტაცებული ქალი. მს მოსახლე პირველათ ძრიელ უარზე გადა, მაგრამ მისმა მეუფებამ უბრძანა სვანებს ძალის დატანებით წაერთმიათ ეს ქალები, რაკი აასრულეს ძრიელ ხალისით.

ხალხი აქ ჯერ ბოიყვია და ვერასტებულობს და ამ გვარი მათი მდგომარეობით მღვდლები ხერხიანათ სარგებლობენ, რადგანაც იმედით აქეთ, რომ მთავრობას მათზედ ვერავენ ვერას აცნობებს. მათი ზრუნვა, შფოთვა

მართო იმაზედ არის მიქცეული, თუ როგორ ჯამაგირი მივიღოთ და კარგათ-ესტე, მოთ, ხალხმა ვინდ კისერი იტეხოს და ვინდ წყალში გადავარდეს, რას დაუფიქრებთ. ამა ამგვარი კეთილი აზრებით და მიმართულებით არიან სვანეთის სვანეთის საზოგადოების მწვემსები, ზოგიერთს გარდა. ისინი მართო იმას ფიქრობენ, თუ როგორ მუცლები გაიტენონ და არა იმას, რომ დასტოვონ რაიმე სახსოვრათ შემდეგისათვის, რომ მომავალს შეეძლოს სთქვას, რომ ეს კაცი როდისმე ყოფილა დედა-მიწაზე და თავისი სიცოცხლე ხალხზე მზრუნველობით დაუღვია. ამ ნაირი რეპუტაციის თავის თავზე გაკეთება სვანეთში ბევრს ღვაწლს არ თხოვლობს. აი, მაგალითებო ავიღოთ თავისუფალი დრო, როდესაც შეუძლიანთ მმ. მღვდლებს ბევრს კარგს აზრებთან გააცნონ ისინი. აქ ხალხი უმეტეს ნაწილათ უქმით არის; ყოველ თავისუფალ დღეს ჩვეულებრივ თავს იყრის მაიდანზე; რასაკვირველია, განათლებულ ხალხებსავით იმათ სხვა ინტერესები არა აწუხებსთრა, მხოლოდ როგორვე დრო გაატარონ თუ სიმღერით, ორფხეულით, ცეკვით, თოფის ნიშანზე სროლით და სხვით. ამაზედ უკეთეს დროს როგორ იპოვის კაცი იმათ ქადაგებისათვის. რა ბედნიერება იქნება ჩვენთვის, რომ ამ უქმ დღეებს თავისთვისაც უქმით არ იხდიდნენ და იზამდენ იმდენს სიკეთეს, რომ ხანდისხან ამ მაედანზე მობრძანდენ და ხალხს უქადაგონ. შეგველია, ხალხი მათის სიტყვის უარს არ გახდება და სწავლებას ხლისით მიიღებს. ამას, თუ გინდ, თავი დავანებოთ. იმაზე უფრო სამწუხარო რაღა იქნება, რომ მართლ მაღიდებელმა კაცმა არ იცოდეს, რომ ღმერთი ერთი არის და არა მრავალი, როგორც ერწმუნებთან სვანები. მღვდლებისაგან გავარჯიშებულ სვანს რომ ჰკითხო, თუ გინდ მოხუციც იყოს, რამდენი ღმერთი არისო, ის მოგვიგებს — ღმერთი იმოდენი არისო, რამდენიც ეკლესია დგასო. სირცხვილი არ არის, რომ ამდენ ხანს არიან მღვდლები სვანეთში და პარჯერის წერა ვერ უსწავლებიათ ხალხისათვის. ას-ორას კაცში სამს თუ ეცოდინა, დიდი იქნება.

ლაზარე დალუანი.

ზორი, 10 თებერვალს, 1874 წ.

„ნუ ამხილებ უფუნურსა, რათა არა მოგიძულოს შენ...“ ამ დარაგების ჩემ მიერ გადასვლა შესახებ მს საზოგადოებისა იყო მიზეზი ჩემი აქამომდე სიჩუმისა; ხოლო, რადგანაც აწ ვარ მე არა მამხილებელი, არამედ მახარებელი ორიოდე ამბისა, ამისთვის ამოვიღებ ხმას და ვიტყვი: მს ამთვისა ზორის „წრეში“ (кружокъ) წარმოადგინეს „ძუნწი“ მ. მრისთავისა და, საზოგადოთ, თვითვეულმა აქტიორმა კარგათ შეასრულა თავისი როლი, მაგრამ უმეტესი ყურადღება საზოგადოებისა მიქცეს ივანეკამ, მონაწიარდისამ და პარაპეტამ. უფრო კიდევ უმეტესი საყურადღებო იქნებოდა პარაპეტა, თუ იგი ყოფილიყო მართალი, როგორც შეეფერებოდა მ. მრისთავის კარაპეტას. ამ წარმოდგენას საზოგადოებამ ახირებული თანაგრძნობა უჩვენა: მთელი ზალა სავსე იყო სკამებზედ მსხდომარეებით და რამდენიმე კლე ფხეზედ იდგნენ იწროოებისა გამო. ამბობენ, ოცდა ათ თუმანზედ მეტი მოგროვდა და ამ მოგროვებული ფულის მიზანი დამშეული სამარელების შეწევა არისო!!

30-ს იანვარს აქ ზორის მხარის სამღვდლოების კრება იყო შესახებ აწინდელ

შკოლის შენობის გაყიდვისა, სხვაან ალაგის მოპოვებისა და აშენებისა, ახალი წესდების მოთხოვნისა მებრ. ამ კრების თავმჯდომარემ ჯერ კარგათ დაიწყო საქმე და ბოლო ღმერთმა იცის. ძრებამ დასდო: გაიყიდოს აწინდელი შკოლის შენობა 6,000-ს მან. კარგი ალაგი მოვიპოვიოთ სხვაგან და ოთხი წლის განმავლობაში ავაშენოთ ისეთი შენობა, როგორსაც მოითხოვს ახალი უსტავი. ამასთანავე კრებამ დასდო ყოველ წლივ შეწიროს ათი თუმანი შკოლის სამართველოს მწერლისთვის, ხუთი თუმანი შემსთვის და მოსამზადებელი კლასის მასწავლებელს მოუმატაჯამაგირი, რომელიც სულ შეადგენს 420 მანეთს წელიწადში. სწორეთა ესთქვა, ზორის მახრის სამღვდლოება არ აკლებს თავის მხრივ ზრუნვას, რმდენიც შეუძლიან, აქაუთს სასულიერო შკოლას.

მ. ზარაფავი

დ. შვირილა, 8 ფებრვ. 1874.

ღაბა შვირილაში ერთი უბედური შემთხვევა მოხდა. იმ კამანდის ყაზახებს, რომელნიც მთავრობის განკარგულებით გამოგზავნილი არიან შორაპნის უფში მშვიდობიანობის დასაწყებლად და რომელნიც საზოგადოების ხარჯით სცხოვრებენ, კაცი მოუკლავთ. ეს კაცი რკინის გზას სტანციის მოსამსახურე ყოფილა გვაზად ივანოვი. როგორც ამბობენ, ჯერეთ სახლში მიხთომიან და ბოლოს თავის ბინაზე მიუთრევიან და იმდენი უცემიათ, რომ მოუკლავთ და მკვდარი მოუტანიათ და მისი სახლის აკოშკასთან დაუგდიათ. მიზედაც ეჭვი აქვთ, ყველა დაჭერილია.

დ. მკახელაძე.

ორიოდ სიტყვა

„დროების“ 409 ნომრის ფელტონად

რასაკვირველია, ვინც კი იცის და არ იცის კითხვა და ცოტათი მაინც რამე გაეგება, ყველამ წაიკითხა და გაიგონა ამ ფელტონის ძალა.

დასტურ, უფ. მეველე კარგათ სჯის და ლანძღავს ცოლების მრტყვევლ ქმრებს! მაგრამ, როგორც გაზაფხულის აითბო გააღვიძებს და ფრთებს გააქნევენებს მელამურას—ლამურას, სწორეთ ისე ამ ფელტონმა გააღვიძა და ფრთები გამოაქყეტინა ჩვენ ცოლებს! მსენი ესლა ასე სჯიან: „მეც თავისუფალი ვყოფილვარ: რაც უნდა ცუდი და საზარალო რამე ექნა ჩემის ქმრისა და ოჯახისთვის, მოვახდინო შემარცხენელი სენიდიისა, პატრონებისა და ცოლ-ქმრობისა, და მანებელი საზოგადოებისა, მაინც ჩემს ქმარს არ შეუძლიან მირტყასო, არა აქვს ნება საწყენი რამე მითხრასო და სხ. და სხ. მეც თავისუფალი ვარო!“

მევენი მტერია, პატრონანო „დროების“ მკითხველნო, რომ ამ ფელტონმა ცოლები გადაგვირია! მხლა, რადგან უფ. მეველემ აღძრა შფოთი და უბედურობა ჩვენ ცოლ-ქმრობაში, უმოჩილესად ესთხოვთ ისევე იმან მოუღლოს ბოლო ამ აღვლევებულ საქმეს და ჩამოაგდოს ჩვენში მშვიდობა. ღა რომ ეს მოხდეს, დაწერილებით დაგვიწეროს მოვალეობა ცოლ-ქმრობისა, შეიღებისა და ოჯახობისა; დაგვიწეროს ცხადი კანონები: თუ რა მიეცეს სასჯელად, ან ქმარს და ან ცოლს, როდესაც რომელიმე მათგანი დაარღვევს თავის მოვალეობას. მაშინ, უსათუოდ, დიდი კმაყოფილები ექმნებით მი-

სის „ფელტონით“ და მადლობასაც შევსწირავთ. თუ ამ ჩვენს თხოვნას უფ. მეველემ პატივი არ სცა, მაშინ იგი, უუკველად, ჩვენ ცოლებისგან გაწვალებულ ქმრებისგან ცუდ რასმეს მოვლოდეს.

რ. აბ. — შაფლია

10-ს თებერვალი 1874 წ.

ს. აბ. — შათი.

რუსეთი

საქრავლთაო სამხედრო სამსახურის წესდება

ამ წლის დასაწყისში გამოვიდა ახალი წესდება საყოველთაო სამხედრო სამსახურზედ. ამ წესდებას იმდენი სიერცე აქვს, რომ ჩვენს გაზეთში, რომელიც კვირაში ერთხელ გამოდის, იმისი სრული თარგმანის დაბეჭდვა შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ ჯერ ამ წესდების უპთავრეს საფუძვლებს და შემდეგ ნომერში მთელს იმის შინაარსს დაწვლილებით. აი ის უმთავრესი საფუძვლები, რომელნიც უმაღლესს მანიფესტში მოხსენებული არიან:

I) სამხედრო სამსახური მართებს ყველა მამაკაცს, რომელიც იმპერიაში სახლობს. არავის არ აქვს ნება, რომ ამ სამსახური-საგან თავი დაიხსნას ან ფულით, ან თავის მაგიერის წარადგენით.

II) ეს ახალი წესდება არ გავრცელდება ყაზახ რუსებზედ და ზოგიერთს უცხო ტომის ხალხებზედ.

III) რა კი ოცი წლის შეიქნებიან ყველა მოსახლე მამაკაცს წილი ეყრება. ეს წილის-ყრა ერთჯერ სამუდამოთ გარდაწყვეტს, თუ ვის მართებს ნამდვილი სამხედრო სამსახური და ვინ განთავისუფლებულია იმისგან.

IV) შევლა, ვინც კი ამ წლის პირველს იანვარს ოცდა ერთს წელზედ უხნესი იყო, ორმოცი წლის ხნოვანებადის ლაშქარში სამსახურისათვის გამოწვევას უნდა ელოდეს.

V) ნამდვილი სამსახურის ედა თხოთმეტი წელიწადია; მაგრამ ექვსი წლის იქით, ან თუ შესაძლოა უფრო აღრეც მხედრობაში მოსამსახურე კაცები შინ დაითხოვებიან იმ პირობით, რომ, როცა მთავრობა მოითხოვს, ხელახლავ სასამსახუროდ უნდა გამოცხადდენ. ზღვაში მოსამსახურეთათვის განწესებულია ათი წლის ნამდვილი სამსახური. ისინი შინ დაითხოვებიან შვიდი წლის შემდეგ.

VI) სასწავლებლებში ნამყოფი ყმაწვილი კაცებისთვის დაწესებულია უფრო მოკლე ვადით სამსახური. რამდენადაც მათგან მიღებული სწავლის ხარისხი უმაღლესია, იმდენათ სამსახურის ედა ნაკლებია.

VII) შევლა ქრისტიანებრივი სარწმუნოების სამღვდლონი სრულიად განთავისუფლებული არიან სამხედრო სამსახურისაგან.

იმ შემსუბუქებას გარდა, რომელიც თვითონ სამხედრო სამსახურის წესდებაშია განსაზღვრული, უმაღლესის სენატისადმი ბრძანებით დაწესებულია შემდეგი კერძო შემსუბუქება:

1) მინც ტახტისა და კანონის ერთგულებისათვის თავი შესწირა უკანასკნელის აღრულობის დროს პოლშასა და დასავლეთითარუსეთის მხარეში, იმათ ოჯახიდან სამი ოჯახის წევრი განთავისუფლებულია სამხედრო სამსახურისაგან, ჯერ მკვდრის

შვილები და მერამ იმისი მკვიდრი შვილი შვილები.

2) მანთავისუფლებული არიან სამხედრო სამსახურისაგან ისინი, ვინც მარშალისა და მენის, მარშალისა და ბრომბერგის, მარშალისა და ტერესპოლის და ლოდზის საქარხანო რკინის გზებზედ მსახურებდა და სალდათად გამოწვევისაგან განთავისუფლებული იყო.

3) პირველი ხუთი გამოწვევის დროს, ახალი სამხედრო სამსახურის წესდების შემოღებიდან, ოთხის წლით ედროევა სამხედრო სამსახურში შესელა იმათ, ვისაც ეს წილით ერგო, მაგრამ იმისთანა ოჯახებს ეკუთვნის, რომელთაც საგილდო ან სამრეწველო მოწმობის ძალით სევაჭრო, ქარხანა და სამრეწველო გაუმართავს, თუმცა ამ პირთ მუშაობის შემძლე მამაც ანუ პაპაც (ბაბუა) ჰყავდესთ და ძემეცი, მაგრამ თექვსმეტ წელზედ უყმაწვილესი. ხსენებულს სევაჭროებში არ უნდა ჩაითვლონ მაგარი სასმელების საწვრილმანო დუქნები. ნადროები ხანა არც ნამდვილი სამსახურისა და არც სამსახურისათვის მზად ყოფნის ვადითგან არ გამოირიცხება.

4) მანთავისუფლებულია აგრეთვე სამხედრო სამსახურისაგან სხვა და სხვა უცხო ტომის ხალხები და უცხო ქვეყნელები, რომელთაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიუღიათ.

ახალი წესდების სისრულეში მოყვანა ამ გეგარად არის ნაბრძანები:

1) ბრძანების მიღებიდან დაწყებული სამი თვის განმავლობაში ყოველგან უნდა გათავდეს გუბერნიების გამოსაწვევ ნაწილებად (უჩასტკებად) დაყოფა.

2) იმ პირთ, რომელნიც ახლის წესდებით პირველად უნდა გამოიწვიონ, ე. ი. იმათ, ვისაც 1873 წლის განმავლობაში ოცი წელი შეუსრულდა, დანიშნული აქეთ ექვსი თვის ვადა წესდების გამოცემიდან, რომლის განმავლობაში იმათ მთავრობასთან უნდა შეიტანონ განცხადება გამოსაწვევ ნაწილებში ჩაწერაზედ.

3) ლაშქარში სამსახურისათვის სამხედრო წესდებაში მოხსენებულთ გარდა უნდა გამოწვეულ იქნენ, სანამ ორმოცი წლისა არ შეიქმნებიან, ისინი, ვინც სამხედრო სამსახურში არ არის და პირველს იანვარს 1874 წ. ოცდა ერთ წელზედ უხნესი იყო; აგრეთვე ისინი, ვინც ესლა სამხედრო სამსახურში არის და ორმოცი წლის შესრულებამდის დაითხოვებიან.

4) 22 ნოემბრის 1873 წ. მანიფესტით გამოცხადებული რეკრუტების გამოწვევა 15 იანვრიდან 15 ფებერვლამდის 1874 წ. იმ წესით უნდა მოხდეს, რომელიც აღწერილია იმ მანიფესტში. ღა რაც ამას იქით სარეკრუტო ნაწილებზედ (უჩასტკებზედ) სარეკრუტო ვალი ან დროზედ გამოუწვეველი რეკრუტები დარჩება ანგარიშისაგან ამოიშლებიან.

5) სარეკრუტო კვიტანციებზედ, რომელნიც ზემო მუხლში მოხსენებულს გამოწვევას შემდეგ დარჩებიან, დადგენილია შემდეგი წესი:

ა) ხსენებულ კვიტანციები უნდა წარმოადგინონ, 1874 წლის პირველს ოკტომბერზედ არა გვიან, უფზის, მახრის და ქალაქის სამხედრო სამსახურის საქმეების პრისულსტეიაში, სცა ძველი კვიტანციების მაგიერ ახლებს მისცემენ, და ან ძველს კვიტანციებზედ დანიშნენ, რომ კვიტანცია წარდგენილი იყო.

ბ) მითოეული ხსენებულს პრისულსტეიებში წარმოდგენალი კვიტანცია ჩაწერება ერთი კაცის სახელზედ, კვიტანციის მქონის სურვილისამებრ, და ამის შემდეგ ეს

კვიტანცია სხვას არავის უნდა გადაეცეს.

ბ) კვიტანციები მიიღებიან მხოლოდ იმ კაცის სამსახურში საანგაროებოდ, ვის სახელზედაც ჩაწერილია ეს კვიტანცია; ან რომის მკვიდრის ან მარტო მამით და მარტო დედით ძმის და ბიძაშვილის სამსახურში.

ღ) დანიშნულს ვადაზედ წარუდგენელს კვიტანციებს ძალა ეკარგებათ.

მ) კვიტანციის პატრონს შეუძლიან ის ნაზინაში წარადგინოს და ოთხას ოთხმოცდა ხუთი მანეთი მიიღოს.

ნ) კვიტანციების გამოსყიდვის რიგი და ვადები განწესებული იქნება შინანსთ მინისტრისაგან შემდეგ, როდესაც ყველა კვიტანციის რიცხვი შეტყობილი იქნება.

(შემდეგი იქნება).

უსხო ქვეყნები

საზრანგითი

პარიჟი, 10 ფებერვალი 1874 წ.

როგორც იყო მაკ-მაჰონმა ხმა ამოიღო!

მაკ-მაჰონი მართლა, რომ რამდენათაც წარსულ პრეზიდენტს—ტიერს—ლაპარაკი უყვარდა და შემთხვევას ეძებდა, სადმე რამე ეთქვა, იმდენათ ეხლანდელი პრეზიდენტი ჩუმი და უენოა და თითქო ცდილობს, რომ ხმის ამოსაღები მიზეზი არ ექნეს.

მაგრამ წასულ კვირაში კი, ძლივს გასაჭირით, ხმა ამოაღებინეს. ის იყო აქაურ სევაჭრო სასამართლოში (Tribunal de commerce), სადაც უმთავრესი წარმომადგენელი პარიჟის ვაჭრობისა იყენენ შეკრებილი. სასამართლოს თავს-მჯდომარემ უთხრა იმას რამდენიმე სიტყვა ეხლანდელ ვაჭრობის დაცემაზე, წარმოების სისუსტეზე და განაცხადა იმედი, რომ იმის მტკიცე მმართველობისაგან მოვლიან ვაჭრობის გაცხოველებას. მაკ-მაჰონმა პასუხათ უთხრა იმას, თუ რა და რა საშუალებას იხმარს მმართველობა ვაჭრობის აღსადგინებლად და დაუმატა შემდეგი სიტყვები:

„19 ნოემბერს ნაციონალურმა ძრებამ მომანდო მე უფლება შვიდი წლის ვადით. პირველი ჩემი მოვალეობა ის არის, რომ ყველას პატივი ვაცემინო ამ უმაღლეს გადაწყვეტილებისათვის. ნურაფრის გემინანთ. შვიდი წლის განმავლობაში მე დავიცავ ყველა კანონიერად დადგენილ წესს!“

×

ამ სიტყვამ მონარხიელები საშინლათ ააღვლეა. სწორეთ ახირებულია ამათი საქმე: როდესაც მაკ-მაჰონს არჩევენ პრეზიდენტად, ისინი ამბობდნენ, რომ ათი წლით მაინც უნდა ავირჩიოთო, რომ საფრანგეთმა ცოტა მაინც მოისვენოს ამ ხნის განმავლობაშიო; რესპუბლიკელები კი ცდილობდნენ, საფრანგეთის ბედი ამისთანა უხვირო კაცის ხელში ხუთი წლის მეტათ არ ჩავარდნილიყო. ბოლოს შვიდ წელიწადზე დათანხმდნენ. მხლა კი, როდესაც მაკ-მაჰონმა გამოაცხადა, რომ ამ შვიდი წლის განმავლობაში საფრანგეთში მმართველობა არ შეიცვლებაო, მე შევასრულე ნაციონალურ ძრების მონდობილებასაო, ესევე მონარხიელები გულზე სკვებიან, ჯავრდებიან და ამბობენ: „როგორ თუ შვიდ წელიწადს მმართველობა არ შეიცვლებაო! მაშ შვიდი წლის განმავლობაში საფრანგეთში რესპუბლიკა უნდა იყოს! რას ამბობთ: ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შვიდი თვის შემდეგ საფრანგეთის ტახტზე ჩვენი შამპორი ამრძანდებაო!..“

პირთი სიტყვით, როლები შეიცვალა: კონ-

სერვატორები რევოლუციონერებად ხდებიან და რევოლუციონერები კი ეხლანდელი წესის დაცვას ცდილობენ.

ამ არეულობით ყველაზე უფრო ბონაპარტელები სარგებლობენ: იმათი აგენტები ჩუმ-ჩუმად დაძვრებიან თურმე სოფლებში, მუქოდ არიგებენ „პატარა ბადანგს“ (ნაპოლეონ მესამის ეაჟის) და დედა მისის სურათებს, სხვა და სხვა ბონაპარტულ ბროშურებს, აერცვლებენ ხალხში აზრს, რომ როგორც პატარა ნაპოლეონი სრულწლოვანი შეიქმნება (ამ მარტში 19 წლის შეიქმნება), იმ წამსვე მობრძანდება ინგლისიდან და საფრანგეთის ტახტზე შებრძანდება, თქვენ, გლეხებს და მუშებს, გააბედნიერებთ, გადასახადს დაგიკლებთ, ხიდებს და გზებს გაგიკეთებთ და სხვა ამ გვარკორებს.

მაგრამ, ამ ჩუმ აგენტებს გარდა, ბონაპარტის პარტიას ეხლა უფრო აშკარა და უფრო დიდი აგენტები ჰყავს:

ახალი მერების კანონის ძალით, თითქმის ყველა რესპუბლიკელი მერები გამოცვალეს, და მათ ადგილზე პრეფექტები, (რომელნიც აგრეთვე მომეტებული ნაწილი ბონაპარტელები არიან), და უმადლესი მმართველობა თითქმის ყველგან ბონაპარტელებს მიწვანეს.

ამ უკანასკნელ გარემოებას უნდა მიეწეროს, რასაკვირველია, ის აზრები, რომ გუშინწინ პადე-ძალეს დეპარტამენტში, სადაც ხალხის წარმომადგენელი უნდა ამოეჩინათ, ბონაპარტელი დეპუტატი ამოიჩინეს. მეორე დეპარტამენტში, სადაც აგრეთვე ამორჩევა იყო, რესპუბლიკელ დეპუტატმა გაიმარჯვა. შესანიშნავია, რომ თითქმის ყველა ქალაქებმა შემოხსენებულ პადე-ძალეს დეპარტამენტში რესპუბლიკელი დეპუტატის მხარე დაიჭირეს, და ბონაპარტელს მხოლოდ სოფლებმა ჩაუგდეს თეთრი კენჭი სოფლების მოტყუილება და დაბრმავება უფრო ადვილია, ვინამ ქალაქების მცხოვრებლებსა, რომელნიც უკეთ იცნობენ როგორც ბონაპარტის დინასტიას, აგრეთვე თავის ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას სოფლებმაც კი ბეგრძა, რომელთაც ადრე

მუდამ ბონაპარტელების მხარე ეჭრათ, ეხლა რესპუბლიკელ დეპუტატს თეთრი კენჭი ჩაუგდეს. მართი სიტყვით, სოფლებშიც თან და თან ერცვლებოდა აზრი, რომ სფრანგეთს ეხლა მხოლოდ რესპუბლიკა დაიხსნის, რადგან ამ მმართველობის ხელში უფრო შესაძლებელია სამართლიანობა, თავისუფლება და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მაქცების მცხოვრებლებზე ხომ ლაპარაკიც არაა საქარო. მაგრამ ბონაპარტელები ისეთ ძალას პოულობენ თვით მთავრობაში და აღმინიტრატიაში, ისეთ ნაირათ მოქმედებენ, რომ შესაძლებელია, იმათგან კიდევ რამე უბედურება შეემთხვეს საფრანგეთს...

ჩემი სახლის პატრონი, რომელიც თავიდან კოჭებამდი და კოჭებიდან თავიმი ალტაცებული ბონაპარტელია, ამ უკანასკნელ ამორჩევით ალტაცებულია. ის მარწმუნებს, რომ ამ ორი თვის განმავლობაში „პატარა ბადანგე“ პარიჟში შემობრძანდება.

— ნეტავი თქვენ! მეტი რაღა გინდათ! — ღიანაცო, მიბასუბა: წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: სანამ ნაპოლეონი გეყავდა, ერთი ოთახი არ მქონია დაუჭერელი, ყველა გაქირავებული იყო; და რა რომ ეს რესპუბლიკა გაწესდა, მსაქეთ ნახევარი კვარტრა ცარიელია.

— საწყალი შამპორის მზარეული, როგორ ნატრულობს თურმე თავის ბატონის გამეფებას, წარმოიდგინეთ იმის მდგომარეობა: ეხლა, როგორც ამბობენ, ხუთი ათასი ფრანკის მეტი არა აქვს შემოსავალი და შამპორი რომ გამეფდება, მაშინ უკანასკნელი ოცი ათასი მიინც ექნება!

ეს კვარა სწორეთ დიდი პროცესების კვირა: ამას წინათ გასამართლეს ერთი სომეხი მსტანიკ-მარკაროანცი, რომელსაც, როგორც პროცესის დამჩნდა, დაახლოებითი კავშირი ჰქონია ნებარ-შაშასთან (ინგლისში მსმალის ელჩთან), ზოგიერთ ნაპოლეონის მინისტრებთან და ჟურნალისტებთანაც. ამ ძლიერ ნიჭიერ ახალგაზდა სომეხს ისეთ ნაირათ ეჭირა თურმე თავი, რომ ყველას ეგონა, რომ ის ძალიან შეძლებული კაცი იყო და დღეს თუ ხვალ იმის გამინის-

ტრებას მოელოდნენ მსმალეთში. იმის დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ თვალმარალიტის მალაზიაში ნისიათ იღებდა აღმასებს და აგირავებდა. ამნაირათ ერთ მილიონამდი ვალი დაედვა. ბოლოს ეს ოინი შეუტყვეს, დაიჭირეს, გასამართლეს და მსმალეთის მინისტრის მაგივრათ, საპრობილის ტუსალათ გახადეს ხუთი წლის ვალით. ამას გარდა ერთი პროცესი იყო დუელის თაობაზე, რომელიც რუმინის ორ თავადთ შუა მოხდა აქ მონტენბლოს ტყეში: ამ დუელში ერთი მოკვდა და მეორე აგრეთვე ხუთი წლით ვირების აბანოში ჩააწყვიდეს.

მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი პროცესი ჯერ კიდევ არ გათავებულა: ერთი ვილაც ჰოლანდიელი აფიცარი გამოჩნდა, რომელიც ამტიცებს, რომ ნამდვილი შთამბავალი დიდი რევოლუციის დროს მოკლულის საფრანგეთის მეფის, ლუი მეექვსემეტესი, გრაფა შამპორი კი არაა, მეფარო, და მამასადამე ყველა ის უფლებები და მეგვიდრეობა, რომელიც შამპორს დაუსაკუთრებია, მე მეკუთვნისო.

იტორიიდან ვიცით, რომ, როდესაც მეოსალიდამ გაპარული ლუი XVI დაიჭირეს, პარიჟში მოიყვანეს, ტამპლში დააწყვიდეს და მერე გილიოტინით მოსტრეს თავი. იმას დარჩა ეაჟი, რომელიც, როგორც ამბობენ, საპრობილემში მოკვდაო. მაგრამ, როგორც ეხლა ამოჩნდა, იმის მაგივრათ ვილაც სხვა ემაწილი ჩაუწყვიდედათ საპრობილემში და ის კი ჩუმათ გაუპარებიათ ბერმანიაში. აი, ამ გაქცეული ლუი მეჩვიდმეტის შეილობას ჩემულობს ეს ჰოლანდიელი აფიცარი და, როგორც ამბობენ, ნამდვილი საბუთებიც აქვსო და ძალიანაც ჩამოგავს ბურბონებსაო. იმის ადვოკატი შულ-ჟაერაა.

მსეც ახალი პრედენტი შეეძინა საფრანგეთის ტახტს. ამბობენ კია, რომ ის რესპუბლიკელი არისო. მაგრამ ყველა პრედენდენტი, სანამ უფლებას ჩაიგდებს ხელში, განა რესპუბლიკელი არ არას...

ს. მესხი.

ერთი პატარა ბიჭი ვერტე-სემპლათში დიოდა თურმე, მონი დიდი თავადები შეხედდენ ამ ბიჭსა და ჰკითხეს: ულაცია თუ ჰაკი ბიჭო, ვე ვირიო? მოგზაურმა ხმა არ გასცა მაშინ; მაგრამ გავიდა თუ არა წყალზედ, რომელიც იქვე ჩალიოდა, დაუძახა თავადებს: რას მობრძანებდით, შეი კიმიო?

— აი იმასა, ულაცია თუ ჰაკი ვე შენი ვირიო.

— ჰაკი გახლავს, შეი კიმიო.

— მამ წელან რათ არ გევიასუხე, რღა წყალს გაღმა გასელა დაგკირდა?

— თქვენი შემეშინდა ბატონებო, გადმოუძახა კნიაზებს ღიმილით, პატარა გესლიანმა.

მონი მოწამეა მოსამართლის წინ მოსამ: მარი იყო ამა და ამ დღეს თუ არა? პირველი: რა ვიცი ბატონო! მე რომ გამოვედი ვიქტირე ბეგრი, მაგრამ არსად კი არა დამინახავს. მეჩემე მოსამართლე მეორესა ჰკითხავს ამავეს: ჰიმე! რა ვა არ იყო, ბატონო! ასეთი ზიზინ-ზიზინი გაჰქონდა, სულ ცადა მიწას აქცედა.

ამას წინათ ერთი საპატრო კაცი მუთაისის სტანციაზედ გაულახავთ. მაშინ არაფერი, და სურამა რომ მოვიდა თურმე ძლიან გული მოსვლოდა. დაწყველოს ღმერთმა ამნაირი გულის სიფიცე!

განცხადება

ბერენშტადის და მართანოვის წიგნების მაგაზინში და იენანოვის ბიბლიოთეკაში, თფილისის, და ლორთქიფანიძისაში, მუთაისის, ისყიდება რუსული წიგნი:

მუთაისის მაზრის სამსაჯულო. პროცესი ნ. ი. ნიპოლამისა, რომელსაც მაზრის სამსაჯულოს შეურაცხყოფას აბრალდებენ.

ფასი მონი შაჟრი. მაქაქს გარეთლებს შეუძლიანთ ორი ორ-შაჟრიანი ფოჩის მარკა გამოგზავნონ ამ წიგნის ფასად.

იენანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება მართულ-ფრანგულული ლექსიკონი, შედგენილი ი. როტინიანცისაგან. ფასი მართი აბაჟი

ცნობათ-ფურცელი

Table with multiple columns: რაინის გზა (Railway routes), ცმცხლის გემები (Ship arrivals), ფოშტა (Post), ბირჟა (Exchange rates), თფილისის მაზანდა (Tbilisi district), სახაზინო განცხადებები (Treasury notices).